

შპს „ლჯ და კომპანიის“ დირექტორს
მირიან ჭეიშვილს

მისამართი: ქ. ქუთაისი, პ. ჩხოზაძის ქუჩა (ავტოქარხანა) N20
ელ-ფოსტა: ljandcompany@gmail.com

რეკომენდაცია

სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო მირიან,

2022 წლის 22 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (N9551/22) მომართა ა. ც.-მ შპს „ლჯ და კომპანიის“ მხრიდან მის მიმართ სქესის ნიშნით განხორციელებული სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნით, ვინაიდან შვილთან თავმდგომად დარჩენაზე უარი ეთქვა საქმის შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა შპს „ლჯ და კომპანიიდან“ (შემდგომში: კომპანია; მოპასუხე).

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს მსგავსი შინაარსის საქმეზე სქესის ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა, ვინაიდან თბილისის ბავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოში მხოლოდ ქალები დაიშვებოდნენ ბავშვთან თავმდგომად, რაც გამოორიცხვდა მამების შესაძლებლობას, შვილის გვერდით ყოფილიყვნენ.¹ წინამდებარე საქმეშიც სახალხო დამცველი მის მიერ დადგენილ სტანდარტებს ასახავს.

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განმცხადებლის პოზიცია

განმცხადებლის განმარტებით, 2022 წლის 14 აგვისტოს, დაახლოებით 03:00 საათზე, მისი შვილის - ნ. ც.-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახა. განმცხადებლის შვილს კორონავირუსი დაუდასტურდა, რის გამოც, შვილთან ერთად შპს „ლჯ და კომპანიის“ კლინიკაში გადაიყვანეს; მორიგე ექიმმა - ქ. მ.მ განმცხადებელს განუმარტა, რომ პალატაში შვილთან ვერ დარჩებოდა, ვინაიდან ბავშვები დედებთან ერთად იმყოფებოდნენ და თავს უხერხულად იგრძნობდნენ. განმცხადებელი

¹ საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 17 სექტემბრის რეკომენდაცია შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს“ ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/kMmm5qg>

მიუთითებს, რომ დაახლოებით ორი კვირით ადრე, 2022 წლის 29 ივლისს, მეორე შვილი შეეძინა და მისი მეუღლე ახალშობილს მარტო ვერ დატოვებდა. ქ. მ.-ემ განმცხადებელს უთხრა, რომ არც მას ესია მოვნივებოდა მისი მეუღლე სხვა მამაკაცთან ერთად რომ განეთავსებინათ პალატაში, ვინაიდან ქართველები ასეთი მენტალობის არიან. საბოლოოდ, განმცხადებელი მის დედას დაუკავშირდა და პალატაში დარჩენა სთხოვა.

1.2. მოპასუხე - „შპს „ლჯ და კომპანის“ პოზიცია

მოპასუხის 2022 წლის 3 ოქტომბრის პასუხში აღნიშნულია, რომ 2022 წლის 7 სექტემბერს კლინიკამ დახურულ სხდომაზე განიხილა ექიმ - ქ. მ.-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის საკითხი და კლინიკამ არ დაადგინა დისციპლინური გადაცდომა. მოპასუხემ ასევე წარმოადგინა ექიმის ახსნა-განმარტება, რომელშიც აღნიშნულია, რომ მისი შეთავაზება არ იყო იმპერატიული და აუცილებლად შესასრულებელი; თუ განმცხადებელი ვერ შეძლებდა ქალის კლინიკაში მიყვანას, მაშინ ბავშვი მამასთან ერთად განთავსდებოდა.

მოპასუხემ აღნიშნა, რომ კლინიკაში მცირეწლოვან/არასრულწლოვან ბავშვთან თავმდგმურად დაიშვება სრულწლოვანი პირი სქესის მიუხედავად. 2022 წლის 24 ოქტომბრის პასუხის თანახმად, ექიმის თხოვნა განპირობებული იყო თავისუფალ პალატაში ქალის ყოფნით, რომელიც თავს უფრო კომფორტულად ქალთან ერთად იგრძნობდა. მოპასუხის განმარტებით, განმცხადებლისთვის არავის აუკრძალავს ბავშვთან დარჩენა, შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში, განმცხადებელი შვილთან დარჩებოდა და ექიმის წინადადება განმცხადებელს თხოვნის სახით მიეწოდა.

მოპასუხემ 2022 წლის 9 ნოემბრის პასუხით დააზუსტა, რომ ექიმის თხოვნა, ბავშვის თავმდგმური ქალი ყოფილიყო, თავად ექიმის (და არა პალატაში მყოფი ქალის) ინიციატივა იყო, რაც მის მრავალწლიან საქმიანობას ეფუძნება. კერძოდ, ორადგილიან პალატაში განთავსებული ქალები ინტერესდებოდნენ, იქნებოდნენ თუ არა პალატაში სხვა ქალთან ერთად. კომპანიის პასუხის თანახმად, ქალს ესაჭიროება ჰიგიენური მოწესრიგება, რის გამოც უხერხული იქნებოდა პალატაში მამაკაცის ყოფნა. ექიმის თხოვნა სწორედ ამგვარი უხერხულობის თავიდან აცილებით იყო განპირობებული.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი დებულებები

საქართველოში თანასწორობის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით და საერთაშორისო აქტებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი (ახალი რედაქციით) წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას.

აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.²

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

დასახელებული მუხლების შინაარსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება **საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი**, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს **ობიექტური და გონივრული გამართლება** და იგი **დასახული მიზნის არათანაზომიერია**.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ **განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ**. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არ აქვს **ობიექტური და გონივრული გამართლება**, ე.ი. არ ისახავს **კანონიერ მიზანს** და **არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის**.³

2.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-16 მუხლი (**ახალი რედაქციით მე-12 მუხლი**), რომელიც თავისუფალი განვითარების

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II,1

³ ECtHR, Eweida and others v. United Kingdom, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; Burden v. United Kingdom, no: 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, §60

უფლებას იცავს, ასევე მოიცავს ოჯახურ ურთიერთობებს, ისევე როგორც სხვა პერსონალურ კავშირებს ადამიანთა გარკვეულ წრესთან, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარების უზრუნველსაყოფად.⁴

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას. ევროპული სასამართლოს განმარტებით დაქორწინებულ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას და ექცევა მე-8 მუხლით დაცულ სფეროში.⁵

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-5 მუხლი აღიარებს მშობელთა თანასწორობას შვილებთან ურთიერთობაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის თანახმად მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის. ასევე, მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში.

იმავე კოდექსის 1197-ე მუხლი კი აღიარებს შვილების მიმართ მშობელთა თანასწორუფლებიანობას და აცხადებს, რომ მშობლებს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აკისრიათ შვილებთან ურთიერთობაში.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლის უფლება, ეზრუნა შვილის ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური განვითარებისთვის, მისი მეუღლის ანდა სხვა ქალის თანასწორად, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, კონვენციის მე-7 ოქმის მე-5 მუხლითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე და 1198-ე მუხლებით.

2.3. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირები არსებითად თანასწორები უნდა იყვნენ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში და ისინი ამა თუ იმ შინაარსით, კრიტერიუმით მსგავს კატეგორიაში, ანალოგიურ გარემოებებში უნდა

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება #1/2/458, II. 3.21

⁵ Berrehab v The Netherlands, Application no.: 10730/84, 21/06/1988, § 21

ხვდებოდნენ, არსებითად თანასწორნი უნდა იყვნენ კონკრეტულ ვითარებასა თუ ურთიერთობებში.⁶

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დისკრიმინაციის შემთხვევაში, განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.⁷ ანალოგიურ პოზიციაში ყოფნა, არ გულისხმობს, რომ შესაძარებელი ჯგუფები იდენტურნი უნდა იყვნენ.⁸

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-5 მუხლი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე და 1198-ე მუხლები აღიარებენ მშობელთა თანასწორუფლებიანობას შვილებთან დამოკიდებულებაში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით განმტკიცებულია მშობლების თანაბრობის პრინციპი ბავშვის მიმართ და არც ერთ მშობელს არა აქვს უპირატესობა ბავშვის მიმართ უფლება-ვალდებულებების განხორციელებაზე.⁹

მოცემულ საქმეში განმცხადებელს არ მიეცა შესაძლებლობა თავისი შვილის თავმდგმური ყოფილიყო მდებარეობითი სქესის წარმომადგენლისგან განსხვავებით; აღნიშნულის გამო, მამაკაცები არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი მათი სქესის გამო.

2.4. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია. ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.¹⁰

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგჯერ, შესაძლოა, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭოს რომელიმე მშობელს, თუმცა, მსგავსი განსხვავება არ შეიძლება გამართლდეს, თუკი მას საფუძვლად უდევს მშობლის რაიმე მახასიათებელი ან კონკრეტული ჯგუფისადმი კუთვნილება.¹¹

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2

⁷ D.H. and Others v. the Czech Republic [GC], Application no. 57325/00, 13/11/2007, § 175

⁸ Clift v United Kingdom, Application no.: 7205/07, 22/11/2010, § 6

⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება, # ას-1062-996-2012

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება N3/1/531, II, 15

¹¹ Hoffman v Austria, Application no.:12875/87, 23/06/1993, § 33; Salguero Da Silva v Portugal, Application no.: 33290/96, 21/03/2000, § 28, 35

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელს უარი უთხრეს თავმდგმურად დარჩენაზე მისი სქესის გამო. სქესის ნიშნით განსხვავებისას, კი უნდა არსებობდეს საკმაოდ წონადი მიზეზი იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს განსხვავებული მოპყრობის გამართლება.¹²

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ექიმის თხოვნა, განმცხადებელის ნაცვლად ქალი დარჩენილიყო პალატაში, ვინაიდან პალატაში განთავსებული ქალისთვის იქნებოდა კომფორტული, არ წარმოადგენს სქესის ნიშნით განსხვავებული მოპყრობის გამამართლებელ მიზეზს, მით უმეტეს, რომ თანასწორობის პრინციპი კომპანიის შიდა რეგულაციებთან განმტკიცებულია. გარდა ამისა, ექიმს არ უკითხავს პალატაში განთავსებული ქალისთვის, იქნებოდა თუ არა მისთვის კომფორტული ბავშვის თავმდგმური მამა ყოფილიყო. სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს აღნიშნოს, რომ ბავშვის მამას საქართველოს კანონმდებლობით უფლება აქვს შვილის თავმდგმური იყოს, იმის მიუხედავად, როგორი დამოკიდებულება/განწყობა ექნება პალატაში მყოფ სხვა პირებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავად მოპასუხეც აღიარებს, რომ ბავშვის თავმდგმური შეიძლება ნებისმიერი პირი იყოს მისი სქესის მიუხედავად.

სახალხო დამცველი ვერ გაიზიარებს მოპასუხის პოზიციას, რომ განმცხადებლისთვის არ აუკრძალავთ შვილთან დარჩენა. როგორც უკვე აღინიშნა, უდავოა რომ განმცხადებელს, მისი სურვილის მიუხედავად, უარი ეთქვა პალატაში დარჩენაზე და იძულებული გახდა, შვილთან დარჩენა მისი დედისთვის ეთხოვა. დამდგარი შედეგი მიანიშნებს იმაზე, რომ განმცხადებელს აკრძალა შვილთან დარჩენა. სახალხო დამცველის შეფასებით, დღის წესრიგში არ უნდა დამდგარიყო ქალი თავმდგმურის მოძიების საკითხი, როდესაც მამა მზად იყო, შვილის თავმდგმური ყოფილიყო.

საგულისხმოა, რომ კლინიკას უნდა ჰქონდეს ერთიანი მიდგომა და მორიგე ექიმის კომპეტენციაში არ უნდა შედიოდეს ერთპიროვნულად გადაწყვიტოს, თუ ვის მისცემს პაციენტთან დარჩენის უფლებას. სახალხო დამცველმა მსგავსი შინაარსის საქმის განხილვისას აღნიშნა, რომ სტერეოტიპები უზღუდავს კაცებს შესაძლებლობას, შვილის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი და მეუღლეებთან ერთად გაინაწილონ მშობელზე დაკისრებული ტვირთი. მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს მამის როლის დაკნინება ბავშვზე ზრუნვასა და აღზრდაში და მათ მიეცეთ შესაძლებლობა სტიგმებისგან თავისუფალ გარემოში ქალთა თანაბრად ისარგებლონ მშობლის უფლებებით და იტვირთონ მათზე დაკისრებული მოვალეობები.¹³

ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ ევროპული საზოგადოება ბავშვის გაზრდაში ქალისა და კაცის თანაბარი მონაწილეობისკენ მიისწრაფვის და აღიარებს მამაკაცის განსაკუთრებულ როლს ბავშვზე ზრუნვაში.¹⁴ გენდერული სტერეოტიპები, რომელიც

¹² ECtHR, Abdulaziz, Cabales and Balkandali v UK, Application no.: 9214/80; 9473/81; 9474/81, 28/05/1985, §78

¹³ საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 17 სექტემბრის რეკომენდაცია შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს“ ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/kMmm5qg>

¹⁴ Konstantin Markin v Russia, Application no.: 300/78, 22/03/2012, §140

ადგენს, რომ ქალი წარმოადგენს ბავშვზე მზრუნველ მთავარ პიროვნებას, არ შეიძლება საკმარის საფუძვლად იქნეს მიჩნეული სქესის ნიშნით განსხვავებისას.¹⁵

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, რომელიც შეეხებოდა მშობლის შვილთან კომუნიკაციას დადგენილ შეზღუდვებს, დაადგინა, რომ განმცხადებელთან კონტაქტის შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა მხოლოდ იმ გარემოებას, რომ მას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა, რაც ვერ გაამართლებდა განსხვავებულ მოპყრობას ამრიგად, სასამართლოს შეფასებით, განმცხადებელი აღქმულ იქნა როგორც საფრთხე მხოლოდ მისი ფსიქიკური ჯანმრთელობის გამო, საქმის ყოველგვარი კონკრეტული გარემოებებისა და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაცია კონვენციის მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) ერთობლიობაში.¹⁶

შესაბამისად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველი მიმართავს შპს „ლჯ და კომპანიას“:

- თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების გზით, უზრუნველყოს კლინიკაში თავდგომასთან დაკავშირებით თანასწორი მოპყრობა და გაატაროს დისციპლინური ღონისძიებები აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

პატივისცემით,

¹⁵ იქვე, §143

¹⁶ Cinta v Romania application no. 3891/19 18.02.2020